პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 128 (4898)

1973 წ. 1 ივლისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

ტრადიციული შეჯიბრება

ათი ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი მდინარე ბატდანგის ნაპირზე რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრების სანახავად. სარბიელზე გამოვიდა 19 პროვინციისა და ქალაქის 113 სპორტსმენი. ტრასის სიგრძე ვაჟებისთვის 7 კმ იყო, ქალებისთვის კი 4. I ადგილი დაიკავა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მეზღვაურთა გუნდმა. ქალებში ყველას აჯობა ჰანოის ნაკრებმა.

ბატდანგზე შეჯიბრებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ეს ასპარეზობა ეძღვნება ვიეტნამელი მხედართმთავრის ჩან ხინგ დაოს ხსოვნას, რომელმაც XIII საუკუნეში ამ მდინარის შესართავში გაანადგურა ვიეტნამში შეჭრილი დამპყრობლები.

ჰანოი.

„აკადემიკის“ ახალი ზღუდეები

ბულგარეთში კარგად იცნობენ სტუდენტთა საზოგადოება „აკადემიკის“ სპორტსმენებს. სტუდენტთა გუნდებს ბევრჯერ მოუპოვებიათ ქვეყნის პირველობა კალათბურთსა და ფრენბურთში, თავისუფალ ჭიდაობასა და ცურვაში.

სპორტული მუშაობა მაღალ დონეზე დგას ბულგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ტრადიციულად ტარდება ახალგაზრდობის სპარტაკიადები. აქ იწყებენ დიდი სპორტის გზას მომავალი ჩემპიონები და რეკორდსმენები. დავასახელოთ თუნდაც მსოფლიო რეკორდსმენი იორდანკა ბლაგოევა.

ახლახან ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის ცენტრალურმა საბჭომ, მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება სტუდენტური სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე. კერძოდ, სოფიის უმაღლეს სასწავლებლებში იქმნება ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოები, რომელთაც სათავეში რექტორები და პრორექტორები ჩაუდგებიან.

სოფია.

ჩემპიონია „დინამო“

რუმინელი ფეხბურთის მოყვარულებისთვის ნამდვილი სენსაცია იყო ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩების შედეგები. პირველი ლიგის გუნდები — „სკ ბაკეუ“, პიტეშტის „ფკ არჯესი“ და პლოეშტის „პეტროლული“ დამარცხდნენ უფრო დაბალი ლიგის კოლექტივებთან. ერთადერთი გუნდი პირველი ლიგიდან, რომელიც თასის გათამაშებას შერჩა, ბუქარესტის „სტიაუა“ იყო. მან დიდი გაჭირვებით მოუგო კლუჯის „უნივერსიტატეას“ — 1:0.

რუმინეთის პირველობაში უკვე გამოვლინდა ჩემპიონი. ბუქარესტის „დინამომ“ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით აჯობა კრაიოვის „უნივერსიტატეას“.

შემდეგ სეზონში პირველ ლიგაში თექვსმეტის მაგიერ თვრამეტი გუნდი ითამაშებს.

ბუქარესტი.

[illegible]

რვანი სსრ კავშირის ნაკრებში

ალმა-ათაში 29 ივნისს დამთავრდა ახალგაზრდობის საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით ჩატარებული „კლასიკოსთა“ ტურნირი. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, გამარჯვებას საქართველოს მოჭიდავეებმა მიაღწიეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ყაზახეთის, რსფსრ-ს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოსკოვის, ლატვიის, სომხეთის, ესტონეთის, ბელორუსიის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ლენინგრადის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, ლიტვისა და მოლდავეთის კოლექტივები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: ნ. სტაროვერკინმა (ყაზახეთი), ა. ალიევმა, რ. აივაზოვმა (ორივე — აზერბაიჯანი), ვ. ლარცევმა (რსფსრ), ა. ბიკოვმა (ყაზახეთი), ვ. ზემკოვმა (რსფსრ), თ. კიკნაძემ (საქართველო), ვ. ნეჩაევმა (რსფსრ), მ. სალაძემ (საქართველო), ა. კოლჩინსკიმ (უკრაინა).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გუნდის ათი წევრიდან რვა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მოხვდა.

ფარიკაობით დაიწყეს

მოსკოვი, 29 ივნისი. დღეს აქ ფარიკაობით დაიწყო სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. საუცხოოდ აიღო სტარტი ლვოველმა პ. ლედნიოვმა, რომელმაც 38 ორთაბრძოლიდან 33 მოიგო.

შეჯიბრებაში 39 სპორტსმენი მონაწილეობს. ესენი უძლიერესები არიან: ამ ტურნირში ასპარეზობის უფლება შარშანდელი საკავშირო პირადი და გუნდური ჩემპიონატებისა და სსრ კავშირის თასის გათამაშების შედეგების მიხედვით მოიპოვეს.

მონაწილეთა შორისაა მთელი გუნდი, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა — კიეველი ბ. ონიშჩენკო, ლედნიოვი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. შმელიოვი, და ყველა, ვინც 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატში უმაღლესი ჯილდოების მთელი კომპლექტი მოიგო — იგივე ონიშჩენკო, ლვოველი ლ. ივანოვი და მოსკოველი ს. ლუკიანენკო.

ლედნიოვმა 1136 ქულა მოაგროვა. ფარიკაობაში მეორე პრიზიორი გახდა ონიშჩენკო — 30 მოგება (1034 ქულა). III ადგილზე გავიდა კიეველი ა. მჩუჩიევი — 28 მოგება (966 ქულა). შმელიოვს 830 ქულა დაუგროვდა, ივანოვს — 796, ლუკიანენკოს — 728.

ჩემპიონატი 3 ივლისს დამთავრდება ლენინის გორაკზე გამართული ძლეოსნური კროსით.

32 ქალი, 32 ვაჟი...

თბილისში, „დინამოს“ კორტებზე ერთ კვირას გაგრძელდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, გარდაბნისა და გლდანის სკოლა-ინტერნატის კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა, II — გარდაბნის გუნდმა, III — აფხაზეთის კოლექტივმა.

გარდაბანში დღესდღეობით საჩოგბურთო კორტები არა აქვთ. იქაური სპორტსმენები გ. თოხაძისა და პ. არუნოვის ხელმძღვანელობით ვარკეთილის მეურნეობის სპორტულ დარბაზში მეცადინეობენ. ამიტომ მათი წარმატება განსაკუთრებით აღსანიშნავია.

პირად პირველობაში 32 ქალი და ამდენივე ვაჟი მონაწილეობდა. შეჯიბრების დებულების თანახმად, შეჯიბრება ნახევარფინალამდე ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. სამ-სამი გამარჯვების შემდეგ ქალთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალში გავიდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ივანოვა, სპორტის ოსტატები ლ. მგალობლიშვილი, ო. პაპაიანი და პირველთანრიგოსანი ხ. კეკელია.

ამ ეტაპიდან შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა. 3 ქულის მოგროვების შემდეგ ივანოვამ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. II ადგილი დაიკავა კეკელიამ, III — მგალობლიშვილმა.

ქალთა წყვილებში I ადგილი ხვდათ ივანოვას და პაპაიანს, II — მგალობლიშვილსა და ვ. გოგუას, III — მ. ელერდაშვილსა და კეკელიას.

ვაჟთა შორის უძლიერესთა ოთხეულში გავიდნენ სპორტის ოსტატები გ. ახალაძე, ლ. მძინარიშვილი, პ. მეტრეველი და ვ. პერეგუდოვი. პერეგუდოვმა და ახალაძემ 2-2 ქულა მოაგროვეს. პერეგუდოვმა ახალაძესთან მოგების შემდეგ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მძინარიშვილი მეტრეველთან გამარჯვების შემდეგ III ადგილზე გავიდა.

ვაჟთა წყვილების ფინალში ვ. გოგლიძემ და ახალაძემ დაამარცხეს ვ. ოსიპოვი და ვ. გუნჩინი. მათ მესამედ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონობა. III ადგილზე გავიდნენ პერეგუდოვი და გ. მუსაელიანი.

შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს ივანოვამ და პერეგუდოვმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს პაპაიანი და ოსიპოვი. III ადგილზე არიან მგალობლიშვილი და ახალაძე.

ლ. მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

მაინც II ადგილზე

ლენინგრადში ქუთაისელმა მშვილდოსანმა ქეთევან ლოსაბერიძემ („ბურევესტნიკი“) 60 მეტრზე სროლაში საბოლოოდ მაინც II ადგილი დაიკავა — 611 ქულა დააგროვა.

სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ხვდა მოსკოველ ე. გაპჩენკოს, რომლის შედეგია 621 ქულა.

III ადგილზე გასულმა ლვოველმა ვ. კოვპანმა (ორივე — შეიარაღებული ძალები) 609 ქულა დააგროვა.

უიმბლდონის კორტებზე

როგორც ვიუწყებოდით, ლონდონის მახლობლად უიმბლდონის ტურნირში მოასპარეზე თბილისელმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა მეორე წრეში ავსტრალიელი ბობ გილტინენი დაამარცხა. შეხვედრის ანგარიშია 6:4, 6:2, 7:5.

წარმატებით თამაშობენ ტურნირის მთავარი ფავორიტები მარგარეტ კორტი (ავსტრალია) და ილიე ნასტასე (რუმინეთი). კორტმა თანამემამულე კარენ კრანცკეს აჯობა (6:2, 6:3), ხოლო ნასტასემ კოლუმბიელი ივან მოლინა დაამარცხა — 6:2, 7:9, 7:5, 6:1.

მსოფლიო ფეხბურთი ულიდეროდ

ვერ გეტყვით, რამდენად სწორად და მარჯვედაა შერჩეული ის სახელი, რომელიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს, ოქროს ქალღმერთის სამარადისო კავალერებს — ბრაზილიელ ფეხბურთელებს შეარქვეს ჟურნალისტებმა: გუნდი ლეგენდიდან!

რატომ ლეგენდიდან? განა რა დიდი დრო გვაშორებს იმ წლებს, როცა ბრაზილიელებმა პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება და მას შემდეგ უპირველესნი არიან თანამედროვე ფეხბურთში? ბოლოს ხომ ეს სულ ახლახან იყო, სამიოდე წლის უკან! ბრაზილიელი ფეხბურთელები არაერთხელ გვინახავს „საქმეში“, თამაშის დროს, ზოგს — უშუალოდ მწვანე მინდორზე, ზოგს — ტელევიზიით. ლეგენდად ისინი ჩვენი თაობის გულშემატკივართა შვილიშვილებისთვის იქცევიან ოდესმე, წლების მერე, როცა იტყვიან — თურმე იყოო ერთ დროს ფეხბურთის ასეთი მეფე — პელე... ახლა კი ბრაზილიელი დიდოსტატები ჩვენს თვალწინ თამაშობენ, ჩვენ გვაჩვენებენ თავიანთ მაღალ ხელოვნებას, სამითოლოგიო და სალეგენდო, ზღაპრად მოსასმენი ჯერ არაფერი გვიჭირს.

ბრაზილიელები სულ ახლახანაც ვიხილეთ, 21 ივნისს, ლუჟნიკის მინდორზე, სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში. ამიტომ საშუალება გვაქვს „ცხელ კვალზე“ გამოვთქვათ ჩვენი შთაბეჭდილებანი.

სანამ ამ უშუალო შთაბეჭდილებათა გაზიარებას შევუდგებოდეთ, ნება მოგვეცით მოკლედ გავიხსენოთ ყველაფერი, რაც წინ უძღოდა მოსკოვის მატჩს.

ბოლო წლებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა, „ტრიკამპეონებმა“, როგორც მათ უწოდებენ, 35 საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ისე, რომ არც ერთი არ წაუგიათ. ბალანსი კომენტარებს არ საჭიროებს. იგი საუკეთესოა, მაგრამ აი, 9 ივნისს გამარჯვებათა გზა ჩიხს მიადგა: მსოფლიო ჩემპიონებმა რომში მარცხი იწვნიეს იტალიის ნაკრებთან — 0:2.

ამ წაგების შესახებ მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე შეკითხვით მივმართეთ ბრაზილიელ კომენტატორებს და თვით გუნდის უფროს მწვრთნელს მარიო ზაგალოს.

კომენტატორებმა მაშინვე საშინელი ხმაური ატეხეს: ეს მატჩი კი არ იყო, არამედ ცირკიო, სადაც ფრანგი მსაჯი ელიესი ყველაფერს აკეთებდა, რომ არ ჩაეშწარებინა მასპინძელთათვის იტალიური ფეხბურთის 75 წლისთავიო. მათ რაც შეიძლება მეტი სარკაზმით აგვიწერეს ის ორივე საანეკდოტო გოლი, რომლებიც იტალიელებმა გაიტანეს ბრაზილიის ნაკრების კარში. სამაგიეროდ, ელიესმა არ ჩათვალა ანტონიოს ნაღდზე ნაღდი საპასუხო ბურთი, ამას გარდა, სახიფათო მომენტებს მასპინძელთა კართან თვლა არ ჰქონდა და პირდაპირ საოცარია, როგორ ასწრებდა ელიესი მათ „უვნებელყოფას“.

ზაგალო, როგორც ეს უფროს მწვრთნელს შეშვენის, უფრო საქმიანი და კონკრეტული იყო: „ამ მარცხისგან მე ტრაგედიას არ ვქმნი. ჩვენ ახლა ძიებათა პერიოდში ვართ, ვსინჯავთ მოთამაშეებს, არც ერთ მატჩს არ ვატარებთ ერთი და იმავე შემადგენლობით და, საერთოდ, 1974 წლისთვის ვზრუნავთ. თუ ასეთი მოგება ხელს აძლევთ იტალიელებს, გაიხარონ ცოტა ხნით“.

ამ პრეს-კონფერენციაზე ზაგალომ ხაზი გაუსვა, რომ საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა მატჩს ევროპის ჩემპიონთან — გფრ-ის ნაკრებთან, აგრეთვე, კონტინენტის ჩემპიონატის

(გაგრძელება მე-2 გვ.).



საუკეთესოდ, მაღალ დონეზე ჩაატარა ბრაზილიელებთან მატჩი საბჭოთა გუნდის კაპიტანმა მ. ხურცილავამ.

სურათზე: მ. ხურცილავა იგერიებს ბურთს კლოდოალდოსთან ბრძოლაში.



სვეტლანა კოროზოვას ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის ლენინის სახელობის დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა XXV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საშუალო ასაკის კალათბურთელთა შორის.

შეჯიბრება მიეძღვნა ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა კალათბურთელის სვეტლანა კორობოვას ხსოვნას. შვილის თანატოლებს მიესალმა და წარმატება უსურვა სვეტლანას დედამ, ტატიანა კორობოვამ.

I ადგილისთვის დაწესებული კორობოვას სახელობის თასი მოიგო თბილისელ გოგონათა ნაკრებმა. გუნდის მწვრთნელმა, წარსულში სვეტლანას მწვრთნელმა რ. ახალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის გოგონათა ახლანდელი ნაკრები დაკომპლექტებულია ნიჭიერი სპორტსმენებით. განსაკუთრებით პერსპექტიულ მოთამაშედ მას მიაჩნია 1961 წელს დაბადებული ნინო კუპრავიშვილი. მართლაც, 12 წლის გოგონა სიმაღლით 184 სანტიმეტრია და უდავოა, რომ სისტემატური ვარჯიშის შემდეგ მი[illegible] კალათბურთელი დადგება. [illegible] ადგილი დაისაკუთრა [illegible] გუნდმა, რომელშიც გამოირჩეოდნენ ზ. ჯიოევა და ზ. გაბარაევა. III ადგილი აჭარის ნაკრებს ხვდა.

ჭაბუკთა შორის ბადალი არ ჰყავდა თბილისის ნაკრებს. ფინალში ეს გუნდი შეხვდა უკონკურსოდ მოასპარეზე თბილისის „დინამოს" და გაიმარჯვა — 63:28. თავი ისახელა ნაკრების კაპიტანმა ა. ჩხიკვაძემ. იგი გუნდში გამთამაშებლის როლს კარგად ართმევდა თავს და ტექნიკითაც გამოირჩეოდა. აღსანიშნავი არიან, აგრეთვე, დ. მიქელაძე, თ. გონჯილაშვილი და ვ. ძიძიგური. II ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა, III — აჭარის ნაკრებმა.

შეჯიბრების შემდეგ მოეწყო პრიზიორთა დაჯილდოება. თბილისის გოგონათა ნაკრებს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. შავლაყაძემ გადასცა ს. კორობოვას სახელობის თასი.

მ. ნიკოლაიშვილი.

მსოფლიო ფეხბურთი ულიდეროდ

გაგრძელება

ვერცხლის პრიზიორთან — სსრ კავშირის გუნდთან. მის კოლექტივში ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ ვეტერანებს გვერდით საკმარისი რაოდენობით ჰყავდეთ ახალგაზრდები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გაუძლებენ იმ ტიტანურ დატვირთვას, რომელიც უეჭველად თან სდევს მსოფლიო ჩემპიონატის უძნელეს მატჩებს. ამასთან ამ ახალგაზრდებს სინჯავს არა მარტო თვითონ მწვრთნელი, არამედ სპეციალური ტექნიკური კომისიის წევრებიც.

ზაგალოს ჰკითხეს, რა მოთხოვნებს უყენებს მოთამაშეს, როცა ნაკრებში აქყავს იგი.

— დისციპლინა და ტაქტიკა, — უპასუხა მან. — აი, რა არის ჩემთვის მთავარი. თუ მოთამაშეს ფილიგრანული ტექნიკა აქვს, მოკლე ხანშიც შეიძლება მისი ფიზიკურად მომზადება. თუ არჩევანი მიდგა თანაბარი ტექნიკის მქონე ორ ფეხბურთელზე, უპირატესობას მუდამ მივანიჭებ მას, ვინც უფრო დისციპლინიანია მინდორზე და უკეთ შეუძლია შეასრულოს ტაქტიკური დავალება. თერთმეტი ვარსკვლავი ჯერ კიდევ არაა საფეხბურთო ანსამბლი. მათ სულ იოლად შეუძლიათ წააგონ კარგად აწყობილ მექანიზმთან.

ინტერვიუს იძლეოდნენ სხვებიც: მეორე მწვრთნელი, მოთამაშეები. ამას ისინი აკეთებდნენ ხალისით, არ დაეზარდებოდნენ საუბარზე და თითოეული მათგანის სიტყვებში იგრძნობოდა ღრმა პროფესიონალიზმი, საქმიანი ტონი, კონკრეტულობა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები დარწმუნებული არიან საკუთარ სიძლიერეში.

მაგრამ აი, განვლო მოსკოვის მატჩმა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, შემდეგ „ტრიკამპეონებმა" ითამაშეს სტოკჰოლმში და წააგეს შვეციის ნაკრებთან — 0:1.

შევაჯამოთ ბრაზილიელთა წლევანდელი „დესანტის" შედეგები: 2 მოგება აფრიკაში ალჟირისა და ტუნისის გუნდებთან (2:0 და 4:1), მერე წაგება რომში — 0:2, დასავლეთ ბერლინში გამარჯვება ევროპის ჩემპიონთან — გფრ-ის გუნდთან — 1:0, ვენაში ფრე ავსტრიელებთან — 1:1, მოსკოვში მოგება სსრ კავშირის ნაკრებთან — 1:0, წაგება სტოკჰოლმში შვედებთან — 0:1.

რა გამოდის? აფრიკული თამაშები სათვალავში შეიძლება არც მივიღოთ, ვინაიდან ეს გუნდები მესამეხარისხოვანი მეტოქეები იყვნენ. ცხადია, რომ არც ავსტრიელებთან ფრე დაამშვენებს ბრაზილიელთა „ნამსახურობის სიას". რჩება ორი სერიოზული, მაგრამ უკიდურესად ძნელი მოგება ევროპის ჩემპიონთან და კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან. ორივე გამარჯვება, უდავოდ, მნიშვნელოვანი მოვლენაა ახლანდელ საერთაშორისო ფეხბურთში.

მაგრამ რა ვუყოთ წაგებას იტალიაში და შვეციაში? რას მივაწეროთ ეს მარცხი, რა დასკვნა გამოვიტანოთ? ზაგალო ამბობს, მე ტრაგედიას არ ვქმნით, მაგრამ ვინ დაგვიმტკიცებს, რომ ბრაზილიელებს არ ენაღვლებოდათ ამ მატჩების ტექნიკური შედეგები და ამიტომ გულგრილად, ინდიფერენტულად მოეკიდნენ მათ?

დაიღალნენ ბრაზილიელები? არა გვგონია. ასეთი ინტენსივობით ჩატარებული ტურნე მათთვის ჩვეულებრივი რამაა. ექსპერიმენტებს შესწირეს თავიანთი მაღალი პრესტიჟი? ვერც ამას დავიჯერებთ, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონებს არ უყვართ ხუმრობა მწვანე მინდორზე და წაგებულ მატჩს კი არა, ყოველ გაშვებულ გოლს საშინლად განიცდიან.

მაშ, რაშია საქმე?

უბრალოდ, ბრაზილიელებმა, ექსპერიმენტებით თუ უექსპერიმენტოდ, მარცხი განიცადეს იმიტომ, რომ მათი ლეგენდარული გუნდი ახლა არც ისაა, რაც იყო 1958 წელს, არც ის, რომელმაც მოსკოვში ითამაშა 1965 წელს, და არც ის, რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონობა მექსიკაში.

ნუ მიიღებთ ზემოთქმულს ჩვენს პრეტენციოზულ დასკვნად, რომ ეს საბოლოო შეხედულებაა და ბრაზილიელთა უდავო ჰეგემონიას საბოლოოდ ვაყენებთ ეჭვს ქვეშ. არა. მაგრამ ახლა, ამ ეტაპზე, ამ ტურნეში მსოფლიო ჩემპიონები საგრძნობლად იყვნენ დაშორებული იმ ეტალონს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული გახლდათ საერთაშორისო ფეხბურთში. შეიძლება, 1974 წელს ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე ჩავიდნენ სულ სხვა შემადგენლობით, სულ სხვა განწყობილებით, შეიძლება მათ ჩაიყვანონ გერსონი, ტოსტაო, ალბერტო, შეიძლება ბოლოს და ბოლოს კვლავ ისურვოს ნაკრებში გამოსვლა თვით ფეხბურთის მეფემ — პელემ, მაგრამ თუ ამ გუნდმა გაისად ისევე ითამაშა, როგორც ახლა, მას ძალიან გაუჭირდება ჩემპიონობის შენარჩუნება.

ჩვენ ვესწრებოდით ბრაზილიელთა ორმხრივ საწვრთნელ მატჩს „ლურჯებსა" და „თეთრებს" შორის ლუჟნიკის სტადიონზე 19 ივნისს. დიდებული, შეუდარებელი სანახაობა გახლდათ. ეს ის თამაში იყო, რომელსაც ერთხელ ნახავ და მთელი ცხოვრების მანძილზე არ დაივიწყებ.

ორმხრივ საწვრთნელ თამაშში, როგორც ცნობილია, ფეხბურთელს მძიმე ტვირთად არ აწევს ფსიქოლოგიური ბალასტი, რომ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს და არ დაუშვას მიუტევებელი შეცდომა. იმპროვიზაციამ აქ შეზღუდვა არ იცის, ბრაზილიელები კი ასეთ დროს ბრწყინვალენი არიან. წვრთნას ესწრებოდნენ ცნობილი სპეციალისტები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, მიმომხილველები და ისინიც კი, ვისაც ყველაფერი უნახავს ფეხბურთში და ვერაფრით გააკვირვებ, ვინც იცის რას რა ჰქვია ფეხბურთში, წამითაც ვერ აცილებდნენ თვალს მინდორზე გაჩაღებულ ბრძოლას, ვერ ფარავდნენ აღტაცებას ბრაზილიელთა წარმოუდგენელი ტრიუკების შემხედვარე.

გენახათ ეს საწვრთნელი მატჩი და იტყოდით: აი, რა არის ფეხბურთი, აი, თურმე რა შეიძლება გააკეთოს კაცმა ბურთის თამაშის დროს.

შეიძლება ვინმემ თქვას, ვარჯიშის დროს თავსატეხი ფოკუსების გაკეთება, როცა მოწინააღმდეგე სულთამხუთავივით არ გაზის ფეხზე, დიდი არაფერი ბედენააო. სწორია, მაგრამ თავისთავად ხომ უნდა შეგეძლოს გააკეთო ის, რაც ბრაზილიელებმა გვაჩვენეს! მათი ტექნიკური ვირტუოზობა შეუდარებელია. ყოველ ელემენტს ისინი ასრულებენ სრულყოფილად, არტისტულად, დაუძაბავად და რაღაც

(გაგრძელება მე-8 გვ.).

ბრაზილიელი ფეხბურთელები არ ერიდებიან რიცხობრივად ჭარბ მეტოქეებთან ბრძოლას და თამამად თამაშობენ ასეთ სიტუაციაში.

სურათზე: ბრაზილიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ჟაირზინიო ბრძოლაში ებმება ვ. კაპლიჩნისთან (№ 6) და ვ. მუნტიანთან.

გერის როლში

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფრენბურთის მოედნებზე დამთავრდა საშუალო ასაკის მოსწავლეთა ტურნირი XXV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით.

სარბიელზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა თბილისის ჭაბუკთა მეორე ნაკრებიც. ასპარეზობას თავი აარიდეს სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელებმა. როგორც ჩანს, მათ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ სურთ გაიგონ, რომ სპორტსმენის ნამდვილი დაოსტატება მხოლოდ შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობით შეიძლება.

ჭაბუკთა ასპარეზობის ფავორიტები პირველივე შეხვედრებში დაასახელა. ესენი იყვნენ თბილისის პირველი გუნდისა და აფხაზეთის ფრენბურთელები. თბილისელმა მოსწავლეებმა აჭარის წარმომადგენლებს მოუგეს ანგარიშით 2:0 (15:9, 15:3), ხოლო აფხაზეთის ნაკრებმა დაამარცხა რუსთავის ძლიერი გუნდი—2:1 (5:15, 15:6, 15:4). გამარჯვებული თბილისის პირველი კოლექტივისა და აფხაზეთის გუნდის შეხვედრას უნდა დაესახელებინა. მოსალოდნელი იყო შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ ასე არ მოხდა. თბილისელებმა იოლად სძლიეს მეტოქეს — 2:0 (15:1, 15:7) და ტურნირის დამთავრებამდე მოიპოვეს ჩემპიონობა. II ადგილზე არიან აფხაზეთის სპორტსმენები, რომელთაც მოუგეს ქუთაისელებს ანგარიშით 2:0 (15:4, 15:8) და აჭარის გუნდს — 2:1 (15:9, 11:15, 15:10). III ადგილზე გავიდნენ რუსთავის წარმომადგენლები, რომელთაც ტურნირის ბოლო დღეს დაამარცხეს აჭარის ნაკრები — 2:1 (2:15, 15:6, 15:2).

გოგონათა შეჯიბრებაში პირველობის ბედი ბოლო დღეს გადაწყდა. ჩემპიონობა დაისაკუთრეს თბილისელებმა, რომელთაც აფხაზეთის ფრენბურთელებს აჯობეს — 2:1 (15:5, 4:15, 15:3).

III ადგილი ხვდათ აჭარის სპორტსმენებს, რომლებმაც მოუგეს ქუთაისელებს — 2:0 (15:11, 15:8).

ტურნირი მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით შეჯიბრების მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ი. აკოფოვს და უფროს მდივანს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს რ. მელახიევს.

სიტყვა მივცეთ მწვრთნელებსა და სპეციალისტებს:

ა. მუხინი, თბილისის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი.

„ჩვენმა გუნდმა ძალიან იოლად მოიგო ტურნირი, მაგრამ ეს მოწმობს არა იმდენად თბილისელთა ძალას, რამდენადაც დანარჩენ მეტოქეთა სისუსტეს. აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, ქუთაისის გუნდებში არც ერთი პერსპექტიული სპორტსმენი არ გვინახავს".

რ. მეგრელიშვილი, თბილისის გოგონათა ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

„თითქმის ასეთივე მდგომარეობაა გოგონათა შორისაც. მარტო აფხაზეთის ნაკრებმა ჩამოიყვანა ერთი საინტერესო სპორტსმენი — ძიკევიჩი. იგი უდავოდ ნიჭიერი ფრენბურთელია და, რასაკვირველია, ნაკრებშიც ჩაირიცხება. მაგრამ ეს გამოსავალი არ არის".

გ. იმნაძე, თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორი.

„ფრენბურთი ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია გერის როლშია. უბრალოდ, გამიჭირდება ჩამოვთვალო ყველა მიზეზი, რაც ხელს უშლის ამ სახეობაში ჩვენს წინსვლას. მთავარია, რასაკვირველია, თუნდაც ელემენტარული სპორტული ბაზების უქონლობა. ჩვენს მწვრთნელებს პირდაპირ ჯადოქრობა სჭირდებათ მეცადინეობის რეგულარულად და ხარისხიანად ჩასატარებლად. არ გვყოფნის სპორტული ინვენტარი, არა გვაქვს კარგი ბურთები, იშვიათად ტარდება შეჯიბრებები. დაოსტატებისთვის მოზარდი წელიწადში 50-60 პარტიას მაინც უნდა თამაშობდეს შეჯიბრების ჩარჩოებში, მაგრამ მათ 20-30 პარტიის მეტი არ გამოსდით. აბა რა უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მათ მაღალი ოსტატობა და გამოცდილება?".

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილება ბოლოს და ბოლოს დაინტერესდება ჩვენს რესპუბლიკაში მოზარდთა ფრენბურთის განვითარებით.

ი. ლოპატკინი.

• • •

სურათებზე: თამაშობენ თბილისისა და აჭარის კალათბურთელი გოგონები; თბილისისა და რუსთავის ფრენბურთელი გოგონები თამაშის დროს; საქართველოს დედაქალაქის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ნორჩ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ფეხბურთი ულიდეროდ

გაგრძელება

სიხარულის გრძნობითაც კი. ბურთი მათი ჭეშმარიტი ბედნიერებაა. როცა ჟაირზინიო მინდვრის ერთ მხარეს წარმოუდგენელ ფინტს უკეთებდა მეტოქეს, მისი პარტნიორი მეორე მხარეს სიცილით კვდებოდა და ბავშვივით ხტოდა სიხარულით.

თვით მატჩი სსრ კავშირის ნაკრებთან ყველამ ნახა ტელევიზიით, შეიძლება ორჯერაც, მეორე დღესაც, გამეორებისას, პრესაში იგი სათანადოდ გაშუქდა და ახლა დეტალების გახსენებას, ბრძოლის მსვლელობის კვლავ აღწერას არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ რამდენიმე შენიშვნა, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება.

ჯერ ერთი, საბჭოთა ნაკრები განწირული არ იყო. დროდადრო მას საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, სტუმრების კართან რამდენიმე მომენტი შეიქმნა, რომელთა გოლით დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ასეთი მომენტები ჰქონდათ ბლოხინს, ონიშჩენკოს, ზინჩენკოს, ბუნტიანს. მეორეც, — შეიძლება არც ის ბურთი გასულიყო, რომელსაც 67-ე წუთზე შესწვდა თავით ჟაირზინიო, მის გვერდით მყოფ ჩვენს მცველებს წამიერი დაბნეულობა და გაუბედაობა რომ არ გამოეჩინათ.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრებმა, წაგების მიუხედავად, კარგად ითამაშა, მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა, საერთოდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეჭვი არაა, იგი დღეს უკეთ გამოიყურება, ვიდრე, ვთქვათ, მარშან, როცა საფრანგეთის სუსტ გუნდთან აგებდა ოფიციალურ მატჩს.

იყო დრო, როცა სამხრეთამერიკელი, კერძოდ, ბრაზილიელი ფეხბურთელები ევროპაში ჟონგლიორებად მიაჩნდათ და ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს მათი თამაშის არსი უმთავრესად ტრიუკების ჩვენებაში მდგომარეობდა. ეს მცდარი აზრი დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ჟონგლიორობა რა მოსატანია, როცა ბრაზილიელებმა საფუძ-

(დასასრული მე-4 გვ.).

სურათზე: გოლი, ერთადერთი გოლი! პილგუის ნახტომი ამაოა.

მათი მთავარი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატი

მოჭიდავის გადასვლა ზედა წონაში სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: ზოგჯერ სპორტსმენის ორგანიზმი წონის მომატების ტენდენციას ამჟღავნებს, ზოგჯერ ამ გადაწყვეტილებას ტაქტიკური მოსაზრება განაპირობებს, ზოგჯერ კი მოჭიდავე ყველა პოტენციურ მეტოქეს მოილევს ერთ წონაში და, ვინაიდან გული ერჩის, ახალ წონას მიაკითხავს. წონის მომატება უარყოფითად არ მოქმედებს სპორტსმენის ტექნიკურ მაჩვენებლებზე, თუ ეს ორგანიზმის ზრდის ბუნებრივი პროცესითაა გამოწვეული. თუ არა და, მოჭიდავის წინაშე დგება რამდენიმე რთული პრობლემა: ეყოფა თუ არა მას ძალა ახალ ამპლუაში, გაუძლებს თუ არა ორგანიზმი გაძლიერებულ დატვირთვას და ა. შ.

ლევან თედიაშვილმა, მსოფლიოსა და მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, წონა შეიცვალა — 82 კგ-დან 90-ში გადავიდა.

— რამ გამოიწვია თქვენი „დამძიმება“? — ვკითხეთ ერთხელ ლევანს.

იგი, როგორც ყოველთვის, ჯერ დაფიქრდა, მერე თვალებში ეშმაკურმა ღიმილმა გაურბინა და გვიპასუხა.

— წონის მომატებამ.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა წონაში მოიმატა. ეს საგანგებო შემთხვევაა საჭიდაო სამყაროში, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ პროცესს შეიძლებოდა რადიკალურად შეეცვალა უკვე აღიარებული ჩემპიონის კარიერა. მაგრამ ლევანი თავის „დამძიმებას“ მშვიდად შეხვდა. მწვრთნელებმა გაგვანდეს, რომ ვარჯიშის დროს მას არაერთხელ უცდია ძალა 90 კილოგრამში და ყველა მეტოქეს იოლად გამკლავებია. თუ ასეა, ოლიმპიური ჩემპიონის გულშემატკივრებს მშვიდად შეეძლოთ ყოფნა. და მაინც, ეჭვი სადღაც სულს ღრღნიდა...

მაისში ლ. თედიაშვილს შესაძლებლობა მიეცა თავისი გადაწყვეტილების სისწორე საქმეში შეემოწმებინა. იგი ჩაირიცხა სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა იმ ნაკრებში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა წასულიყო მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. ლევანთან ერთად ნაკრების შემადგენლობაში ჩაირიცხა ახალგაზრდა, მზარდი ათლეტი როინ დობორჯგინიძე.

მსოფლიოს თასის გათამაშების იდეა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას ეკუთვნის. ამავე სახელწოდების ასპარეზობა ორჯერ უკვე მოეწყო 50-ანი წლების დამლევს, მაგრამ მაშინდელი ტურნირი ფაქტიურად მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების ანალოგია იყო — მხოლოდ სახელწოდება შეუცვალეს. წლევანდელი ასპარეზობა კი თავისი წინამორბედებისგან სტრუქტურულად განსხვავდებოდა, ვინაიდან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურ თამაშებში დაწინაურებულმა გუნდებმა — სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და კანადამ. ეს უკანასკნელი სარბიელზე ბულგარეთის ნაკრების ნაცვლად დაუშვეს. ბულგარელებმა საგრძნობლად გადაახალისეს თავიანთი კოლექტივი, შემადგენლობიდან გაიყვანეს ვეტერანები და გზა ახალგაზრდებს დაუთმეს იმ ანგარიშით, რომ მონრეალის ოლიმპიადაში ახალი გუნდი გამოიყვანონ.

რაც შეეხებათ ირანსა და თურქეთს, მათ სხვადასხვა მოსაზრებით აარიდეს თავი ასპარეზობას. ირანი წლეულს მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს და ამიტომაც ბოლომდე არ ხსნის თავის კარტს. ირანის ჭიდაობის ფედერაცია ხშირად მიმართავს ასეთ ტაქტიკას და მისი უარი არავის გაკვირვებია. თურქებმა კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი კრიზისს და ამიტომაც მსოფლიო საჭიდაო სარბიელზე დღესდღეობით რეალურ ძალას არ წარმოადგენენ.

მსოფლიოს თასის გათამაშება ჩანაფიქრის მიხედვით გუნდური ტურნირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა გამარჯვებულები დაესახელებინათ პირად ჩათვლაშიც და მათთვისაც შესაბამისი თასები გადაეცათ. რაც შეეხება გუნდურ პრიზს, იგი მაინც მთავარ ჯილდოდ იქნა მიჩნეული და ამიტომაც ტურნირში მონაწილე კოლექტივები უმთავრესად ამ პრიზისთვის იბრძოდნენ.

ეს საკმაოდ ორიგინალური თასი, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მილან ერცეგანის სამშობლოში — იუგოსლავიაში დამზადდა, თუ არ ვცდებით, იწონის... 67 კილოგრამს. ტურნირის შემდეგ გამართულ ბანკეტზე პრეზიდენტმა იხუმრა: ვინაიდან ამ თასის ტრანსპორტირება საკმაოდ ძნელი საქმეა, გადავცეთ იგი სამუდამო მფლობელობაში საბჭოთა ნაკრებს, იგი შესანიშნავად უვლის ამგვარ ჯილდოებს და საკმაოდ უხალისოდ უთმობს მას სხვებსო. შემდეგ პრეზიდენტმა უკვე სერიოზულად ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რასაც ბოლო წლებში საბჭოთა მოჭიდავეებმა მიაღწიეს, გაიხსენა ვეტერანების დამსახურებაც. ერცეგანმა ხაზი გაუსვა ჭიდაობის პოპულარობას საქართველოში და ბოლოს გამოაცხადა, რომ მომავალი თასის გათამაშება თბილისში გვაქვს გადაწყვეტილიო. პრეზიდენტის აზრით, საერთაშორისო ფედერაცია თავის უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს ამ კანდიდატურას და დაასახელებს ტურნირის ვადებს.

მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებას კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდა ჩვენი მოჭიდავეებისთვის. ლევან თედიაშვილმა, მაგალითად, სწორად შენიშნა, რომ ამ ტურნირში ყველა თავის მომავალ მეტოქეებს სწავლობდა.

— მე, — თქვა მან, — ყველაზე მეტად ოლიმპიურ ჩემპიონთან, ამერიკელ ბენჯამენ პიტერსონთან შეხვედრა მაინტერესებდა, ვინაიდან მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში სწორედ ის მიმაჩნია მთავარ მეტოქედ. როინ დობორჯგინიძეს ამერიკელ დევიდ ბემთან უნდა გაერკვია ურთიერთობა. სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებიც თავიანთ შესაძლებელ მეტოქეებთან დაწყვილდნენ და ცდილობდნენ უფრო დეტალურად შეესწავლათ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები. ასე რომ, მსოფლიოს თასის მონაწილეებმა ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირეს: საკმაოდ კარგად ივარჯიშეს და მეტოქეებიც გაიცნეს.

ამ წერილის მიზანი ტექნიკურ შედეგებზე საუბარი არ არის. პრესაში მსოფლიოს თასსა და საბჭოთა მოჭიდავეების ამერიკულ ტურნეზე ბევრი რამ დაიწერა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ტურნირში ორივე ქართველმა სპორტსმენმა მაღალი ოსტატობა გამოავლინა და სამართლიანად მოხიბლა სპეციალისტები. თედიაშვილმა, რომელიც ამიერიდან უფრო მაღალ წონით კატეგორიაში იასპარეზებს, რამდენიმეჯერ დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი პიტერსონი.

ამერიკელი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა ამ მარცხს. იგი თავის ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც ამბობენ, მისი სახელი უკვე გაუთანაბრდა ლეგენდარულ დან გეიბლის სახელს. ამხანაგურ შეხვედრებში რამდენიმე წაგების შემდეგ პიტერსონი ნიუ იორკში ჩაფრინდა და იქ დაიწყო სამზადისი „მედისონ სკვერ გარდენში“ გამოსასვლელად.

აი, როგორ იხსენებს ნიუ იორკში პიტერსონთან შეხვედრის ეპიზოდს ლევანი:

— მე უკვე დამთავრებული მქონდა ვარჯიში და ცივ ლუდს ვსვამდი, როცა მთლად გაოფლილ და დაღლილ პიტერსონს შევხვდი. მან, როგორც ყოველთვის, კეთილად გამიღიმა და ... გაოცდა. თვალებით თითქოს მეუბნებოდა: ხომ არ გაგიჟდი, ხვალ შეხვედრა გვაქვს და დღეს ლუდს სვამო? მე ვითომ ვერაფერს მივხვდი, ხელი მოვხვიე და დახლთან მივიყვანე:

— დალიე ლუდი, სულ ერთია, ხვალ მაინც უნდა წააგო.

ბენჯამენმა მხრები აიჩეჩა და გამშორდა. ლუდი მას, რა თქმა უნდა, არ დაულევია, მაგრამ ჩემთან შეხვედრა „მედისონში“ მაინც წააგო.

რ. დობორჯგინიძემაც აისრულა საწადელი: მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ორთაბრძოლაში ბემს სძლია. ამერიკელს მეორედ იგი „მედისონ სკვერ გარდენში“ შეხვდა. იქ მინიმალური უპირატესობით ბემმა გაიმარჯვა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამერიკელის წონა იმ დღეს არ შეესაბამებოდა ნორმით გათვალისწინებულსო. რამდენად მართალია ეს, არ ვიცით, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ გამარჯვების დღეს ბემი ასაწონად არ გამოცხადებულა — პირდაპირ სარბიელზე მიიყვანეს შერკინების წინ.

ასე იყო თუ ისე, ამერიკაში ტურნემ კარგი სამსახური გაუწია საბჭოთა ნაკრებს, გუნდს, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

ნ. გუგუშვილი.

• • •



სურათებზე: ლევან თედიაშვილი და როინ დობორჯგინიძე. მარჯვენა ფოტო მიუნხენის ოლიმპიადის დღეებშია გადაღებული. დარბაზში, სადაც მოჭიდავეები ვარჯიშობდნენ, ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეგობრები—ლ. თედიაშვილი და ამერიკელი გოლიათი კრის ტეილორი. ისინი ერთმანეთთან შეთამამებული არიან და ეს სურათიც სწორედ მათს გულთბილ ურთიერთობას მოწმობს. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის უკან კ. ტეილორი პროფესიულ სპორტში გადავიდა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ლენინგრადის საზონათშორისო ტურნირის ექო

ლაპარაკობს მაქს ეივე

— საზონათშორისო ტურნირი ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში — ლენინგრადში საუცხოოდ იყო ორგანიზებული სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის მიერ. შეჯიბრებამ საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი და მთელი მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ყურადღება მიიქცია, — უთხრა საქდესის კორესპონდენტებს ფიდე-ს პრეზიდენტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, პროფესორმა მაქს ეივემ (ჰოლანდია).

თქვენ გაინტერესებთ ჩემი შეხედულება ტურნირის პრიზიორებზე?

დიდოსტატი ანატოლი კარპოვი თამაშის გასაოცარი ტექნიკით და დიდი თავშეკავებით გამოირჩევა. ეს უკანასკნელი თვისება მას ერთგვარად ემანუილ ლასკერთან აახლოებს. კარპოვს შეუძლია შექმნას რთული პოზიციები, სადაც მისი პარტნიორი იოლად შეიძლება შეცდეს. ასეთ დროს ახალგაზრდა დიდოსტატმა დანდობა არ იცის.

ვიქტორ კორჩნოი უდიდესი ძალის მოჭადრაკეა, რომელსაც შეუძლია პარტიის ნებისმიერ სტადიაში მთლიანად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი ენერგია. მაგრამ განსაკუთრებით სახიფათოა იგი გადამწყვეტ შეხვედრებში.

ტურნირის დაწყებამდე რობერტ ბირნისგან ალბათ არც ერთი სპეციალისტი არ ელოდა ასეთ წარმატებას. ბოლო წლებში მისი სტილი, თუ შეიძლება ითქვას, უფრო თამამი და დახვეწილია. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ამერიკელი დიდოსტატი რეიკიავიკში თავიდან ბოლომდე დაესწრო მატჩს მსოფლიო პირველობაზე და ყოველ პარტიას აანალიზებდა. სხვათა შორის, ბირნმა მშვენიერი წიგნი დაწერა სპასკი — ფიშერის მატჩზე.

სამივემ დამსახურებულად მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება.

რამდენიმე სიტყვა ხელმოცარულებზე. მათგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მიხეილ ტალი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ავადმყოფობამ — ეს აშკარა იყო — არ მისცა ყველა პარტიის თანაბარი ძალით თამაშის საშუალება.

რაც შეეხება ბენტ ლარსენს, ბრწყინვალე დასაწყისის შემდეგ მისი მოულოდნელი მარცხი მხოლოდ ზედმეტი ოპტიმიზმით შეიძლება აიხსნას. დანიელ დიდოსტატს უყვარს მსუბუქად, ძალდაუტანებლად თამაში, ვარიანტების ლაბირინთებში სიარული, ოღონდ ზოგჯერ ავიწყდება, რომ ამ ლაბირინთებში შესვლა უფრო იოლია, ვიდრე გამოსვლა...

ბრაზილიის მომავალ მეორე საზონათშორისო ტურნირზე ეივემ თქვა, რომ პროგნოზების აგება ჯერჯერობით ძალიან ძნელია. მხოლოდ ის შეიძლება წინასწარ აღინიშნოს, რომ მონაწილეთა შორის ყველაზე „კერკეტი კაკალი" ლაიოშ პორტიში იქნება.

რაც შეეხება ფიდე-ს, ითქვა, რომ მას საიმედო პერსპექტივები აქვს. საერთაშორისო ფედერაცია დღეს 82 ქვეყანას აერთიანებს, რაც მოწმობს ჭადრაკის ტრიუმფულ სვლას მთელს ცივილიზებულ სამყაროში.

— ჩვენ ველით, რომ ფიდე-ს წევრებს შეუერთდებიან აფრიკის განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნებიც, როცა უფრო ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს კულტურისა და სპორტის პრობლემებს.

მსოფლიო პირველობის ახალი სისტემა — პარტიების გარკვეულ რაოდენობათა მოგებამდე (ყაიმების გაუთვალისწინებლად) — შეიძლება ყველასთვის ხელსაყრელი არ იყოს. მაგრამ იდეალური არც პრეტენდენტთა ტურნირის რვა დიდოსტატის მონაწილეობით გამართვა უნდა იყოს. მაგალითად, გასულ შეჯიბრებაში (1971 წ.) არ მონაწილეობდა პორტიში, მომავალში კი (1974 წ.) ლარსენი არ ითამაშებს. განა სმისლოვსა და კერესს უკვე ნათქვამი აქვთ საბოლოო სიტყვა? საჭიროა ვიფიქროთ იმაზეც, რომ მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირებში თორმეტი დიდოსტატი გამოდიოდეს.

ნ. ტულიაკოვი,
ი. როხლინი.
(საქდესის სპეც. კორ.).

ლენინგრადი.

სიტყვა ეკუთვნით პრეტენდენტებს

საქდესის სპორტულმა რედაქციამ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირზე აზრის გამოთქმა სთხოვა სამ მოჭადრაკეს, რომლებმაც პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ვიქტორ კორჩნოი (სსრ კავშირი, 42 წლის, საერთაშორისო დიდოსტატი 1956 წლიდან, 1962 და 1967 წლების საზონათშორისო ტურნირების, 1962, 1968, 1971 წლების პრეტენდენტთა ტურნირების მონაწილე. რეიტინგი ელოს სისტემით — 2635).

— როგორც ლენინგრადის ჭადრაკის ფედერაციის წევრი, აქტიურად ვმონაწილეობდი ტურნირის მოწყობაში. ამიტომ ვერ ვიტყვი, რამდენად ზუსტად იყო დაცული შეჯიბრების აუცილებელი პირობები. უცხოელი მოჭადრაკეები და სტუმრები ამბობენ, ორგანიზაცია და მსაჯობა უნაკლო იყოო. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით მოსწონთ ჭადრაკისადმი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში.

პირველ მოულოდნელობად ის უნდა ჩაითვალოს, რომ გამარჯვებულებმა მოსალოდნელზე მეტი ქულა მიიღეს. ეს გასაკვირია იმიტომ, რომ შეჯიბრებაში ძალიან ძლიერი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. მეორე მოულოდნელობად მიმაჩნია დანიელი ბენტ ლარსენისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალის მარცხი, აგრეთვე, რობერტ ჰიუბნერის წარუმატებლობა. ჩემი აზრით, აქ მთავარი როლი ითამაშა სპორტული ფორმის არასასურველმა დონემ.

რობერტ ბირნი ძალიან კარგად თამაშობდა და გაუძლო სატურნირო შეხვედრების დაძაბულობას, მუდამ მიზანდასახული და მომზადებული იყო. სწორედ ამან განაპირობა მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით.

ანატოლი კარპოვი (სსრ კავშირი, 22 წლის, საერთაშორისო დიდოსტატი 1970 წლიდან. საზონათშორისო ტურნირში პირველად მონაწილეობდა. რეიტინგი — 2645).

—სპორტული მოვლენები ამ ტურნირში ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მე არ მახსოვს შეჯიბრება, სადაც სამივე გამარჯვებული ბოლო ტურის წინ ყოფილიყოს დასახელებული.

სასიამოვნოა პირველი-მეორე ადგილების გაყოფა ისეთ ცნობილ და ნიჭიერ დიდოსტატთან, როგორიც კორჩნოია. მისი წარმატება მოულოდნელი არ იყო. კორჩნოიმ განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით ჩაატარა შეჯიბრების მეორე ნახევარი.

რობერტ ბირნი (აშშ, 45 წლის, საერთაშორისო დიდოსტატი 1964 წლიდან, 1967 წლის საზონათშორისო ტურნირის მონაწილე, რეიტინგი — 2570).

— ჩემს საჭადრაკო კარიერაში პირველად მოვიპოვე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება. ახლა ამ შეჯიბრებისთვის სერიოზული მზადება მელის.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ლენინგრადის ტურნირის შემადგენლობა პირდაპირ მრისხანე იყო. ბევრს ნიშნავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჭადრაკის ისეთმა კორიფეებმა, როგორიც ტალი და ლარსენი არიან, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს მეტოქეთა დამარცხება.

ყაიმი მუდმივი ქიშით

პიარნუ, 29 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ესტონეთის მოჭადრაკე ვაქთა მეგობრობის ტურნირის VIII ტურში მხოლოდ ორი პარტია მ. ცეიტლინი (მოსკოვი) — ე. კივოია (პიარნუ), ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ო. მოისეევი (მოსკოვი) დამთავრდა და შედეგი ორივეში საყაიმო იყო. გაფრინდაშვილმა საერთაშორისო ოსტატ მოისეევთან სიცილიური დაცვის პაულსენის ვარიანტი გაითამაშა. მოისეევმა (შავებით) მალე გაათანაბრა თამაში და მეტოქენი დაზავდნენ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ტალინელმა ოსტატმა ჰ. კიარნერმა ორი გამარჯვება მოიპოვა — ე. იუქსტისთან (ტალინი) და ა. ჰერმლინთან (იუგევა). ასევე 2 ქულა მოიხვეჭა მოსკოველმა ოსტატმა, ა. კუშნირის მწვრთნელმა ა. იურკოვმა ა. სოპთან (პიარნუ) და ვ. ჰეუერთან (ტალინი) გამარჯვებით. გ. უუსიმ (ტალინი) მოუგო კივოიას, მოისეევმა — ჰეუერს, ა. ტამემ (პიარნუ) — სოპს, ცეიტლინმა — იუქსტის, ხოლო ა. კრემენეცკიმ (მოსკოვი) — ტამეს.

ჰერმლინ — ტამეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

რთული ტაქტიკური ბრძოლის შემდეგ მუდმივი ქიშის წყალობით ასევე ყაიმს მიაღწია სოპმა გაფრინდაშვილთან.

8 ტურის შემდეგ ცეიტლინს 7 ქულა აქვს, ჰ. კიარნერს — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ო. მოისეევს — 5,5.

ნ. გაფრინდაშვილს 3,5 ქულა აქვს.

მოგვყავს გაფრინდაშვილსა და კიარნერს შორის VII ტურში გათამაშებული პარტია:

გაფრინდაშვილი — კიარნერი

უფიმცევის დაცვა

1. e4 g6 2. d4 კg7 3. მc3 c6 4. კc4 d6 5. f4 b5 6. კb3 d5 7. მf3 b4 8. მ:d5 კg4 9. მ:b4 კ:f3 10. ლ:f3 a5 11. მ:c6 მ:c6 12. კa4 ლb6 13. ლb3 შავები დანებდნენ.

ლ. ნაჭყებია.

• • •

სურათზე: ა. ჰერმლინისა და ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა.
ავტორის ფოტო.

მსოფლიო ფეხბურთი ულიდეროდ

დასასრული

ვლიანად შემუშავებული, უკიდურესად რაციონალური სისტემა შეიმუშავეს და ევროპელები, რომლებიც თვითონ არიან ორგანიზებული ფეხბურთის წარმომადგენლები, ფაქტიურად იმ ბრაზილიური სისტემის ნაირსახეობებს თამაშობენ, რაც 1958 წლიდან მოყოლებული უცვლელად ბატონობს დღევანდელ ფეხბურთში.

ასე გეგმიანად, ორგანიზებულად თამაშობდნენ ბრაზილიელები ახლაც. მათი მცველები ტყუილუბრალოდ არ დატოვებენ ზონას და, თუ რისკიან ილეთს შეასრულებენ მძიმე მომენტში, *მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ყველაზე უკეთესი გამოსავალია კონკრეტულ სიტუაციაში. რაც შეეხება თვით რისკს, იგი გამართლებულია იმით, რომ, ფეხბურთელი თავისი მაღალი ტექნიკის წყალობით, დაზღვეულია შეცდომისგან. ამავე დროს დაზღვევა და ზუსტი ურთიერთმოქმედება დაცვის რიგებში კანონია, რომლის დარღვევა აზრად არავის მოუვა.*

ბევრი დაიწერა და ითქვა იმაზე, რომ ბრაზილიელთა გუნდში ყველაზე ძლიერი ნახევარდაცვის რგოლია. ეს ასეა, შუა მინდორში მათ ვერავინ აჯობებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბრაზილიელები ზომაზე მეტად ყოვნდებიან და, საერთოდ, ბევრ დროს ატარებენ აქ. გადის წუთები (ფეხბურთში კი ეს ძალზე ბევრია), ჩემპიონები კი შუა მინდორში გაუთავებლად ხლართავენ კომბინაციებს, დრიბლინგით თუ უმისოდ მოძრაობენ სიღრმეში, ამზადებენ შეტევას, ეძებენ გზებს. ეს კეთდება ძალიან ლამაზად, ეფექტურად, მოწინააღმდეგე კი ამასობაში თავის კართან უკვე ასწრებს კონტრზომების მიღებას ხიფათის უვნებელსაყოფად. შემთხვევითი არაა, რომ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ მატჩში პირველი ტაიმის მანძილზე მასპინძელთა მეკარე პილგუის არა ჰქონია რამდენადმე მაინც სერიოზული სამუშაო. მახვილგონივრულად, მაღალტექნიკურად თამაშობდნენ ბრაზილიელები, მაგრამ კარში დარტყმა არ იყო. არ ჩანდა მათი სწრაფვა საბოლოო დარტყმის შესასრულებლად, არ ჩანდა ის აგრესიულობა, რომელიც გამუდმებული შიშის წინაშე აყენებს მეტოქეს.

ამიტომ იყო, რომ მატჩი დროდადრო, და საკმაო ხნითაც, მონოტონურად მიმდინარეობდა და ბურთი თავს ვერ აღწევდა მინდვრის შუაგულს.

დამთავრდა მატჩი და დაგვრჩა რაღაც გაორებული გრძნობა, თითქოს მოისმინე მშვენიერი მუსიკა, რომელსაც არა ჰქონდა დამამთავრებელი აკორდი, თითქოს იგი შეწყდა საბოლოო ჰანგების, ფინალის გარეშე. ბრწყინვალე პაულო ცეზარი რომ არა, რომელსაც თავისი შორეული რომაელი სეხნიას მსგავსად შეუძლია თქვას: მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე, შეიძლება ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო მეტიც ყოფილიყო. თითქოს დაგვენანა კიდეც, რომ ის ვერ ვნახეთ, რასაც ველოდით.

ბრაზილიის ნაკრებს არ ჰქონდა ის ბრწყინვალება, ის განუმეორებელი ელვარება და შეუდარებელი კლასი, რაც 1965 წელს გვიჩვენა ასეთივე მატჩში ლუჟნიკის სტადიონზე. თუ ლეგენდაზეა ლაპარაკი, ლეგენდარული ის გუნდი იყო პელეს მეთაურობით.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს ჰყავს აღიარებული ლიდერი, ერთპიროვნული ჰეგემონი — ბრაზილიის ნაკრები. ახლა, ბრაზილიელთა ამ აფრიკულ-ევროპული ტურნეს მერე, ამის მტკიცება უწინდელი კატეგორიულობით აღარ შეგვიძლია.

ერთხანს ლიდერობაზე საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს, მაგრამ არგენტინელებთან და ბრაზილიელებთან წაგებული მატჩების შემდეგ გერმანელთა პერსპექტივებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

მაშ ვინაა დღეს ლიდერი — იტალია, ინგლისი, არგენტინა, ჰოლანდია?

არც ერთი. მსოფლიო ფეხბურთი დღეს ულიდეროდაა. გამოკვეთილი ფავორიტი არ გვეგულება.

ეტყობა, უნდა მოვითმინოთ 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე.

ზ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი — თბილისი.

სურათზე: ორთაბრძოლა მინდვრის შუაგულში. ბურთით — ბრაზილიელთა ნახევარმცველი რიველინო.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ოფიციალური პროტესტი ფიფა-ს

ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობამ ვრცელი პროტესტით მიმართა ფიფა-ს იტალია — ბრაზილიისა და გფრ — ბრაზილიის მატჩებში უმსგავსო მსაჯობის გამო.

ეხებიან რა მატჩს რომში, ბრაზილიელები სასტიკად აკრიტიკებენ ფრანგ მსაჯ ელიესს, რომელიც აშკარად მასპინძლებს უდგებოდა. მატჩის შემდეგ თვით მსაჯი დაესხა თავს ბრაზილიელებს, დასწამა მათ უხეშობა და ჟურნალისტებს განუცხადა: მათს კარში 6 პენალტი მაინც უნდა დამენიშნაო. ეს განცხადება, რომელიც მყისვე გამოაქვეყნეს იტალიის გაზეთებმა, ბრაზილიელთა აზრით, სრულიად უსაფუძვლოა.

გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში არბიტრი გომერტი (ჰოლანდია) არ სჯიდა უხეშად მოთამაშე მასპინძლებს. მაგალითად, მცველი კულმანი მთელი მატჩის მანძილზე უმოწყალოდ ურტყამდა ქაირზინიოს, მაგრამ მსაჯი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ნეცერის გამოსათხოვარი გოლი

ნეცერმა, რომელიც მადრიდის „რეალში" გადავიდა, უკანასკნელად ითამაშა თავის კლუბ „ბორუსიაში" (მენჰენგლადბახი) გფრ-ის თასის გათამაშების ფინალში „კიოლნის" წინააღმდეგ. ძირითადი დრო ფრედ (1:1) დამთავრდა, დამატებით დროში კი ნეცერმა გადამწყვეტი, გამოსათხოვარი გოლი გაიტანა და „ბორუსიას" გფრ-ის თასი მოუტანა.

ამოცანა

ა. საზონოვი (მოსკოვი)



შამათი ორ სვლაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. უე 02715